№ 256 დეკემბერი 4, კვირა 1888 დეკემბერი 4, კვირა № 256

# ივერია

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ა ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წევრთა **წლიური კრება**, დანიშნული 20 ნოემბრისთვის, ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ შეიკრიბა. ამიტომ, საზოგადოების წესდების მე-15 §-ის ძალით, ხელმეორედ კრება დანიშნულ იქმნა 27 ნოემბრისთვის. მაგრამ რადგანაც ასე მოხდა, რომ ამ დღისთვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურნი საგანგებო კრებაზე არიან მიწვეულნი, ამის გამო „წერა-კითხვის საზოგადოების“ **ხელ-მეორედ კრება** დანიშნულია 6 დეკემბრისთვის. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

---

ტფილისი, 3 დეკემბერი

ნუ თუ საფუძველი ეძლევა ჩვენ მოშურნეთა აზრს, ვითომც ქართველები უნიჭონი არიან, ვითომც იმათ არ მოსდევს უმაღლესის სწავლა-განათლების, უმაღლესის „კულტურის“ შნო და უნარი? მაგრამ ეს ხომ აშკარა ცილის-წამება იქნება, უკეთუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენის ქვეყნის და საზოგადოდ კავკასიის ბუნების თვისებას. განა შესაძლოა, რომ ამ ქვეყნის შვილი, როგორიც არის საქართველო, სადაც ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა დაიბერტყა, სადაც ბუნება სხვა ქვეყნების ბუნებაზედ გაცილებით მდიდარია, უფრო სავსეა, უფრო მშვენიერია, უნიჭო იყოს? პირ იქით ასე პატარძალივით მორთულ ქვეყანას, როგორიც არის ჩვენი საქართველო, შეჰფერის ყოველ-გვარ ნიჭით შემკული მკვიდრი თაობა? ამის უარ-ყოფა ხომ ბუნების კანონის პირდაპირ უარ-ყოფა და დამხობა იქნებოდა! ყოველი ადამიანი, ყოველი სულდგმული, ყოველი არსება დედამიწის, ბუნების პირმშო შვილია. ენას, სარწმუნოებას, ხასიათს, ზნესა და ჩვეულებას ბუნება განსაკუთრებულს ფერს სდებს და კვალს ამჩნევს. მაშასადამე ქართველობის უნიჭობა სრულიადაც სახსენებელი არ არის, რადგანაც, როგორც ამბობს დიდ ბუნებოვანი ფილოსოფოსი კანტი, შეუძლებელია „სრულის ქმნილებისაგან უსრული არსება წარმოსდგეს და უსრულოსაგან სრული.“ მაშასადამე თავი და-თავი მიზეზი ჩვენგან ზემოდ წარმოთქმულის აზრისა სულ სხვა გარემოებაში უნდა ვეძიოთ.

ამ საზოგადო მოსაზრების გარდა ბევრ სხვა საბუთითაც შეგვეძლო დაგვერღვია იმათი აზრი, რომელნიც ამბობენ, რომ ქართველნი უნიჭონი არიანო. მაგრამ, ვგონებთ დაწვრილებითი ლაპარაკი საჭირო არ არის და მთავარის საბუთის დასახელებაც საკმაოა. იმ სამწუხარო გარემოების მიზეზი, რომ ზოგს სასწავლებელში და, სხვათა შორის, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში ქართველ ყმაწვილებს წარმატება არ დამჩნევიათ, კერძო და დროებითი უნდა იყოს და არა სამუდამო და შეურყეველი. საქმე ის არის, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში, როგორც სხვა-და-სხვა ცნობებიდგან სჩანს, შინაური წესი და რიგი არა ყოფილა საკმაოდ დაცული. ამ გარემოებას უკვე ყურადღება ათხოვა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ და საჭირო ზომა იხმარა სკოლაში წესისა და რიგის დასამყარებლად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „წერა-კითხვის საზოგადოება“ თავისს წადილს შეასრულებს და თვით სკოლას არავითარი შინაური შემაფერხებელი გარემოება არ გადაეღობება წინ, თუ არ რომელიმე გარეგანი მიზეზი, ჩვენს საზოგადოებაზე დამოუკიდებელი.

არ შეგვიძლია არ დავასახელოთ ერთი შემაფერხებელი მიზეზი, რომელიც „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ და ჩვენმა სკოლებმა თავიდგან უნდა აიცილონ. ეს მიზეზი ის არის, რომ ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლებში ოსტატებს ხშირად სცვლიან, გადაჰყავ-გადმოჰყავთ. პედაგოგიურ მწერლობაში ვრცლად არის გამორკვეული,—თუ როგორის გონებითისა და ზნეობითის თვისებისა უნდა იყოს აღმზრდელი-მასწავლებელი, მაგრამ სრულებით არ არის გამოძიებული,—თუ რა ცუდი შედეგი მოსდევს მასწავლებელის ხშირად გამოცვლას სკოლაში. გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ კაცი მეტს ასწრობს და უკეთ ემსახურება თავის აზრს და დანიშნულებას, როცა საქმეს დიდხანს ადგია თავსა.

ამიტომ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ პედაგოგიურ კანონს, რომლის ძალითაც აღმზრდელი-მასწავლებელი უნდა შეეგუოს, შეეთანხმოს განსაკუთრებითს თვისებას მოსწავლისას ე. ი. იცოდეს იმის მიდრეკილებანი, აგებულება, ხასიათი, ზნე და ჩვეულება, მაშინ უფრო დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებელის ხშირად გამოცვლა მავნე და საზარალოა პედაგოგიურის მხრით. რისთვის? იმისთვის რომ მოსწავლის ხასიათის და ზნე-ჩვეულების შესწავლა მოითხოვს ბევრს დროს და ბეჯითობას. ამ აზრს უნდა მიზდიოს არა მხოლოდ მასწავლებელმა, არამედ ყოველმა მსაჯულმა, ყოველმა სჯულ-მდებელმა, ყოველმა კანონის მცოდნემ. ყველა მოხელეს, განსაკუთრებით ევროპაში, ვალად აძევს იცოდეს კანონი, ენა, სარწმუნოება, ხასიათი, ზნე და ჩვეულება იმ ხალხისა, რომლის მმართველად ის არის მოწოდებული, რომელთანაც უნდა იცხოვროს და იმოქმედოს. გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ნიჭიერ კაცსაც-კი მოსვლია შეცდომა იმის გამო, რომ ხალხის ხასიათი არ გაუცვნია. აგრეთვე ადვილად ჩავარდება ხოლმე შეცდომაში ის კაციც, რომელსაც მოუხდება ხშირად ადგილის გამოცვლა, უცხო და სხვა-და-სხვა საზოგადოებაში მოქმედება. ეხლა ვკითხოთ: მართლა საზიანოა თუ არა, როდესაც მასწავლებელი ხშირად იცვლება სკოლაში? ყოველი მასწავლებელი არა მხოლოდ ასწავლის, არამედ ზნეობითადაც ზრდის თავის მოსწავლეს. იმის მოვალეობა მარტო სწავლება-კი არ არის, არამედ თავის მოწაფეზე ზედ-მოქმედება ხასიათით, ზნით, ჩვეულებით და, თუ გნებავთ, გარეგანის სახეითაც. ხშირად ბავშვებს გადაედება ხოლმე მასწავლებლის კილო-გამოთქმა, მისი ღიმილი, სიარული და სხ. თუ ეს ასეა, ცხადია, რომ მასწავლებლის ხშირად გამოცვლას მოზდევს ბავშვების ზნე-ხასიათების დაუდგრომელობა და ჩვეულებათა ცვლილება.

თუ მეთოდიურის მხრით შევხედავთ მასწავლებლის ხშირად გამოცვლას, ამ შემთხვევაშიც დიდი ზარალი მოზდევს ზემოხსენებულს გარემოებას. ყოველ მასწავლებელს თავისი მეთოდა აქვს, თავისებური ოსტატობა სწავლებისა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხშირად ახალი მასწავლებელი, გამოვა რა კლასსი-

---

# ფელეტონი

## გიგი

ბრალია გიგის სიკვდილი,
ფშაველნ ნუმც გაიგონებენ:
შაიყრებიან ციხე-გორს,
ლაშქრობას მაიგონებენ.
გულზე ეკალი დაესხმისთ,
მტერს ველარ დაიმონებენ.
გიგი სადა გყავთ, ფშაველნო,
ან იმის ცხენი ტიალი?
— გიგის თოფ დაჰკრეს ქისტებმა,
სისხლმა დაიწყო წკრიალი.
ალარ აცალეს რჯულ-ძაღთა,
ფრანგულს გაელო კრიალი.
გვენახა არწივის მოსვლა,
წეროთ დაქსაქსვა, გრიალი.
დაგენატრებათ, ფშაველნო,
გიგის ფრანგულის ტრიალი.
ახადს გავსთხარეთ სამარე
შაე-გერემანაის ბიჭისა.
ცოლს გაუგზავნეთ იმისას
ლურჯი პერანგი გიგისა.
გიგის ლურჯაი ბაგას ჰბავ,
თვალით ცრემლები მისდისა.
ტოტს უცემს მხარ-კვერიანი,
ზურგი დალარა მიწისა.
— ხმალი რას შერება გიგისი,
ფრანგული გველის პირისა?
— სამჯერ ილერება დღეშია,
უგიგიობას სტირისა.
— ცოლი რას ამბობს გიგისი,
ქალი ლუხუმათ ბერისა?
— ქმარს ეძებს მოშინაურეს,
არ მიმდევარსა მტერისა.
— დედამ რაღა სთქვა ჯავარამ
შვ ლის სიკვდილის თქმაზედა?
— გონთით გადვარდა, ბეჩავი,
ხელი იტაცა თმაზედა,
შუა გახია მანდილი,
ხორცი იგლიჯა ტანზედა.
ველარ გაუძლო ვარამსა,
დანას დაეჭრა ფხაზედა.
— მამამ რაღა სთქვა თინიბექმ,
ამბავ რო უთხრეს შვილისა?
— გულ ჩაიმჯილა, ჩაფიქრდა,
ალი აჰვარდა პირისა:
«რად არ აცალეს რჯულ-ძაღთა
ვეფხვს ერთხელ გასმა კბილისა?
მოკლან, თუ მოკლეს, რაღა ექნა,
წეს ეგ არიო გმირისა!»
— შვილმა რაღა სთქვა მახარემ,
ვაქკაცმ წვერ-შამამავალმა?
— ზავთი დაიდვა, როგორაც
ღურბელმ ცას გადმამავალმა;
სამტროდა ჰლესავს ფრანგულსა
სისხლი აიღოს მამისა,
შალებოს ქისტის სისხლითა
ქერა ულვაში ბრძამისა.
— რეალი სადღაა გიგისი,
სამკლავე, საფუხარია?
— ომში ურვალოდ ჩავიდის,
მეხად ცით ნაქუხარია.

ვაჟა-ფშაველა

---

## დემეტრეს სახლობა

(მოთხრობა)

### VI*)

საპყრობილეში

ერთს პატარა საპყრობილის ოთახში ცარიელს ხის ტახტზედ მოკუნტული იყო დემეტრეს ცოლი ნენე. პირი თავშლის წვერებით გაეკრა, იცინდლებოდა და ჩუმად ჰღვრიდა იატაკზე ცრემლებს. კარებში პატარა სარკმელი იყო გამოჭრილი; სარკმელთან იდგა ხიშტიანი ყარაული და მისჩერებოდა ნენეს. ნენე არაფის არა ჰხედავდა, არას გრძნობდა; მისი გონება დაჰფრინავდა შორს-შორს და ათას ადგილას გადაჰყავ-გადმოჰყავდა, აკანავებდა და აბურთავებდა საცოდავს, როგორც აღელვებული ზღვა ნავსა; საპყრობილის ოთახში მარტო ლეში იდო ნენესი; წამს შვილებს გადაავლებდა თვალს, ვითომ მიიკრავდა გულში, სამუდამოდ ესალმებოდა; წამს ყაზარას წარმოიდგენდა, წარმოიდგენდა იმ სისხლის გუბეს, რომელშიც თავ-მოჭრილი ყაზარა ფართხალებდა ქათამივითა, შეეზარებოდა ის საშინელი სურათი, გული წვას დაუწყებდა; წარმოიდგენდა თავისს ბოლოს, რომ იგი უნდა სამუდამოდ გამოსალმებოდა შვილებს, ქვეყანას, სიცოცხლესა. სიცოცხლის მოკლება არა სტანჯავდა და არ აწუხებდა; ნენეს ეწუხებოდა შვილები. ეს იყო თავი და ბოლო იმასის წუხილისა. წარმოიდგენდა თუ არა შვილებს, უპატრონოდ, ობლად დატოვებულებს წაიდუდუნებდა ხოლმე:

— ვაი, შე საცოდავო ჩემო თავო! შე საცოდაო დემეტრე, დაიღუპა შენი სახლობა. ნეტა რა ცოდო მიგვიძღოდა ღმერთთანა, რომ ასე საგანგებოდ, ასე სასტიკად დაგვსაჯა. მითამ დავაშავეთ რამე?

გადასჩხრეკდა მთელს თავის ცხოვრებას, გადაატრიალ-გადმოატრიალებდა, მაგრამ ცუდს იმაში ვერას ჰხედავდა. მხოლოდ ეს არის, ღარიბი იყო და სიღარიბე ხომ ცოდვად არ მიითვალა ღმერთმაო, ფიქრობდა ნენე მაგრამ რადა? ვითომ სიღარიბე ცოდვაა? როცა მიადგებოდა ამ აზრსა და ვერ ალსნიდა რა მიზეზის დაღუპვისას, კვალად წაიდუდუნებდა ხოლმე:

— რა ვქნა, იკურთხოს შენი სახელი, მაღალო ღმერთო! ალბად ასე მეწერა.

ნენე გაება ღრმა ფიქრებში; აღარას გრძნობდა. ამ დროს იმის ოთახის კარებმა ჩხაკა მოიღო, კლიტე ააცალეს და კარი გააღეს; შევიდა ზედამხედველი საპყრობილისა ორის ხიშტიანის ყარაულით და უთხრეს, გამოსულიყო. ნენე ზუზუნებდა და აქანავებდა თავსა. ზედამხედველს ეგონა, ჩვენ ამ დედაკაცმა ჩალადაც არ ჩაგვაგდოვო, დასტაცა იღლიებში ხელი და ტახტიდამ გადმოიყვანა. ნენემ საშინლად დაიწივლა და ფეთიანივით მიაწყდ-მოაწყდა კედლებსა. ცნობაზე მოიყვანეს და გამოუცხადეს, გამომძიებელი გიბარებსო. ნენე ნელნელა დაწყნარდა; ჩაიყენეს ყარაულებმა შუაში და გაიყვანეს საპყრო-

*) იხ. „ივერია“ № 252, 253 და 254.

დგან, ნაღვლიანად გაიძახის: „ბავშვებს არა გაეგებათ-რა!“ ეს ზოგჯერ იმას ნიშნავს, რომ ბავშვები ჯერ-ჯერობით ვერ შესჩვევიან იმის მეთოდს.

შეიძლება ამაზე გვიპასუხონ: როგორ თუ არ უნდა გამოვცვალოთ მასწავლებელი, როდესაც აღმოჩნდა უღირსი თავისს უწმინდესის თანამდებობისა, როდესაც იმან საკმაოდ ვერ მოამზადა მოსწავლენი? ჩვენის აზრით, არც ერთი გონიერი კაცი არ დაუწყებს ქომაგობას სიბოროტეს, ისიც სკოლაში, სადაც, თუ შეიძლება ვსთქვათ, „ისახება“ ახალთაობა, მაგრამ საქმე ის არის, რომ თავიდგანვე ვეცადნეთ კარგი მასწავლებლები ავირჩიოთ და ამას დიდი სიფრთხილე და ყურადღება ეჭირვება.

უღრელიძე

## ახალი ამბავი

*** 2 დეკემბერს ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა, როგორც გამოცხადებული იყო, „ციმბირელი“ ბ-ნ ა. ცაგარლისა და «ბიძიასთან გამოხუმრება» თ. რაფ. ერისთავისა. წარმოდგენა გამართული იყო საქველ-მოქმედო აზრით. წარმოდგენამ საუცხოოდ ჩაიარა, და არტისტთა თამაშობამ უკეთესად გვიჩვენა ღირსება ბ-ნ ცაგარლის პიესისა. თითქმის ყველა მოთამაშენი თავ-თავიანთ ადგილას იყვნენ და მწყობრად ასრულებდნენ თავიანთს როლებს. ის-კი კარგა ვერ მოჰხვლოდა კომიტეტს, რომ ახალგაზდის როლი მიენდო ბ-ნ ვ. ცაგარლისათვის, რომელიც საზოგადოდ ერთი უკეთესი არტისტთაგანია მხოლოდ თავის როლებში. მართალია ნიკოლას როლი კარგად იცოდა, მაგრამ დინჯი და დარბაისლური თამაში არ შეჰშვენის ახალგაზდა შეყვარებულის როლსა. სუსტი იყო აგრეთვე ქ-ნი ციციშვილისა დედის როლში, მაგრამ ესეც დანაშაულია არა თვით არტისტ-ქალისა, არამედ კომიტეტისა, რომელსაც მხოლოდ ერთის დღის წინად დაენიშნა მისთვის ეს როლი. ჩინებულად თამაშობდა პეტუა კინტოს როლს ბ-ნი გამყრელიძე, მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ავტორი გაცილებით უკეთესი იყო ამ როლში წარსულ ზაფხულს. ნაკლი ბ-ნ გამყრელიძისა ის იყო, რომ ნამეტან მთვრალსა ჰგავნდა და სიტყვებსაცა ჰყლაპავდა, მაშინ-როდესაც ყოველი სიტყვა პეტუა-კინტოსი ასე სასიამოვნოა და საზოგადოებაც ასეთის სიხარბით უსმენს. ქ-ნმა საფაროვისამაც უფრო უკეთესად შეასრულა თავისი როლი, რადგან სხვები კარგათა თამაშობდნენ და კვლავინდებურად არ უფუჰებდნენ თამაშსა.

„ბიძიასთან გამოხუმრება“ ხომ თავის დღეში არ უთამაშნიათ ჩვენს სცენაზე ისე ჩინებულად, როგორც 2 დეკემბერს. ქ-ნმა საფაროვისამ სწორეთ სიამოვნებით მოხიბლა და მოაჯადოვა საზოგადოება, ძალიან სანანურია, რომ ხალხი ასე ნაკლებად დაესწრო ამ წარმოდგენას. მარტო ლოჟები და «გალიორკა» იყო დაჭერილი, პარტერში-კი მხოლოდ აქა-იქა მოჩანდა ხალხი.

*** 3-ს დეკემბერს, პირველს განყოფილებაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, ჭავჭავაძისავე სახლში, უეცრად გარდაიცვალა თავისს სადგომში სოლომონ შაბუროვი. განსვენებულს მთელი ტფილისი კარგად იცნობდა, ვითარცა ვაჭრობისა და მრეწველობის მომქმედს კაცს.

*** **სამეგრელოდგან** გვწერენ: ხმა დადის, რომ 13-ს დეკემბრისათვის დანიშნულია სამღვდელოების კრება, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის დაუსრულებელი საქმე და ბოლო უნდა მოუღოს ამ სასწავლებლის მოგზაურობას. იქნება ეხლა მაინც შეჰხედოს სამღვდელოებამ გონიერის თვალით საშვილი-შვილო საქმეს და იქნება ამდენი ტანჯვა აკმაროს სასწავლებელს.

*** 2-ს დეკემბერს, ღამით, პოლიციელებმა შეიპყრეს ტუსაღი მიხეილ კერაკოზოვი, რომელიც შარშან, 22-ს დეკემბერს, გაიქცა სამხედრო საპყრობილიდგან. კერაკოზოვს ამ ერთის წლის განმავლობაში რამდენიმე კაცი მოუკლავს და ბევრიც დაუჭრია და გაუცარცვავს. კერაკოზოვის დაჭერაში დიდი გამჭრიახობა და მოხერხება გამოუჩენია პოლიციის მეექვსე განყოფილების „პრისტავს“ განდერლოვს.

*** 2-ს დეკემბერს, მეათე განყოფილებაში, ბულვარზე, კოტრინის სახლში მკვდარი უპოვიათ ბარბარე კლინგი, სამსახურიდგან გადამდგარის ჯარის კაცის ცოლი. ეტყობა, რომ ძალად მოკლული არის. ამ საქმეს იძიებს მეათე განყოფილების პრისტავი გლებოვი. ქმარი იმ ქალისა იოანე კლინგი, რომელსაც ცოლის მოკვლას სწამებენ, სადღაც დაიმალა. ყოველი ღონისძიებაა მიღებული, რომ იოანე კლინგი აღმოაჩინონ სადმე.

## შენიშვნა

ხელოვნებას რომ ბევრი ჰყავდეს შეგნებული დამფასებელი, დღეს განათლება უფრო წინ ფეხ-წადგმული იქნებოდა, მაგრამ მისი ავ-კარგიანობა ასში ერთს, ან ორს თუ ესმის და სხვა ყველა-კი მარტო ფეხის ხმას აჰყოლია. ავიღოთ მაგალითად მხატვრობა: გამოვიტანოთ რომელიმე სახელ-განთქმული მხატვრობის ნაწარმოები, და ნუ იტყვით-კი ვისია, თუ უმეტესობამ არ დაიწუნოს და ყბად არ აიღოს?.. და თუ წინ-და-წინ შევატყობინეთ ვისიც არის, მაშინ-კი, რასაკვირველია, ყველა აღტაცებაში მოვა და ძრახს ვეღარავინ გაჰბედავს. ამ გვარივეა მუსიკა და ამ გვარივეა მწერლობაც!..

ცოტა გვინახავს და ცოტასა ვხედავთ მაგალითს, რომ ნამდვილი ნიჭი უყურადღებოდ ჰრჩებოდეს და იმავე დროს მის გვერდში მდგარი უნიჭოება სათაყვანო იყოს ხალხისაგან. მართალია, ნიჭი და ხელოვნება, ერთხელაც არის, თავისას გაიტანს, ძალა-უნებურად იპარავს ხალხის გრძნობა-გონებას, მაგრამ ამას დიდი ხანი უნდება, მაშინ როდესაც ხშირად უნიჭობა, გამოსვლისათანავე, უღირსად ტახტზე ადის და უმეტესობის სათაყვანო ხდება ხოლმე. ამისი მიზეზი ცოტა ისიც არის, რომ ნიჭი მარტივად გამოდის, თავის-თავად, გარეშე დაუხმარებლად და უნიჭობა-კი ფერ-უმარილითა და ძლენით, მაგრამ უფრო მეტი მიზეზი-კი ფეხის ხმის აყოლაა. პუშკინი, როგორც მწერალი, მთელის რუსეთის სათაყვანო შეიქმნა. როდესაც ბელინსკიმ იმაზე თავისი აზრი წარმოსთქვა, ხალხი ისე მოიხიბლა, რომ პუშკინის ნაკლულევანებაც-კი ღირსებად მიაჩნდათ. ამ ოცის წლის წინედ პისარევმა უარ-ჰყო იგივე პუშკინი და მთელმა ახალ-თაობამაც ბანი მისცა, ასე რომ მისი ყოველგვარი ღირსებაც-კი უარ-ჰყვეს. დღეს-კი ყველას სახაცილოდ მიაჩნია და შეცდომად სთვლის მაშინდელს აზრს. რა არის ამისი მიზეზი? რასაკვირველია, ფეხის ხმის აყოლაა. უმეტესობა ყურს უგდებს იმ თითო-ოროლა პირებს, დამფასებლად რომ მიაჩნია, და მათ ნათქვამს იმეორებს, როგორც თავისს საკუთარს აზრს. ეს არის საზოგადო კანონი და კერძოდ ჩვენს ხალხზე აღარ ვიტყვი, რადგანაც ჩვენის მოწინავე დასის უმეტესობა ჯერ კიდევ უსუსურია და თავის თავად შეგნება ეძნელება; იმას პოეტობა მესტვირობა ჰგონია და ცარიელი სიტყვების რახა-რუხი — პოეზია და ამის გამო ჩვენში საზოგადოდ ყოველ გვარი ხელოვნება ჯერ კიდევ ხოჰჰშია. მაგრამ ყველაზედ უფრო დაბრიყვებული-კი დრამატიული ხელოვნებაა და არტისტები, სცენაზე მოთამაშეები, ყველას გადასაბიჯებელი მდაბალი ღობეა: მისთანა მაყურებელს ვერ ნახავთ, რომ გულში არ ამბობდეს, როდესაც სხვის სცენაზე თამაშს შეჰყურებს: მე უკეთ ვითამაშებდი ამა-და-ამ როლს, რომ სცენაზე გამოსვლა არ მეთაკილებოდეს და ან არა მრცხვენოდესო. ასე რომ, მათის აზრით, მხოლოდ უკადრისობა და მორცხვობა უშლის ხელს, თორემ არტისტები არიან და არტისტები! მაგიერად დამფასებლებად და კრიტიკოსებად-კი თამამად გამოდიან, რადგანაც აქ არც საუკადრისო და არც დასარცხვენი არა არის-რა.. ერთი ამბობს: „საუცხოვო არტისტია ცხადა-ესაო: იმ ნაირად დამანჭა სცენაზე სახე, რომ სიცილი ვეღარ დავიჭირეო. მეორე იძახის: „რა საცოდავად აწუწუნდა ის აქტრისა, არ-კი ამატირაო. სჩანს, რომ კარგი ყოფილაო“ და ამ გვარად. ესეც საზოგადო კანონია და კერძოდ ჩვენ ხომ არც უპირატესობა გვაქვს სხვებზე. ერთის სიტყვით, ჯერ-ჯერობით ჩვენში ხელოვნება ხელობად არის გადაქცეული და გარჩევა არა გვაქვს. ეს წინა-სიტყვაობა ჩვენ გვათქმევინა არტისტმა კ. ყიფიანმა.

ეს ერთი ხანია კ. ყიფიანი რუსის არტისტების დასში გადავიდა, მაგრამ ღამურას საქმე დაემართა, თაგვებსაც რომ მოშორდა და ჩიტებმაც აითვალწუნეს. მალე დაუვარდა ხმა უვარგისობის: „არა თუ კილო არ უვარგა რუსულის გამოსათქმელად, თამაშსაც ვეღარ ახერხებსო. უცხო სცენაზე მოთამაშობა განა ასე ადვილად არის? რასაკვირველია, აქ უკანასკნელადაც აღარ ივარგებდაო და სხვა და სხვანი! — გაიძახოდნენ ჩვენიანი და სხვისიანი. სწორე მოგახსენოთ, ძალიან მიკვირდა!.. მართლა-კი ყიფიანს როლის დასწავლა არ უყვარს საზოგადოდ და კანანახის (სუფლიორის) წყალობით თამაშობს ხოლმე, მაგრამ ბუნებით ნიჭი-კი იმდენი აქვს, რომ კარგ არტისტად ითვლებოდეს მაინც. და აი ამიტომ მოვინდომე, რომ თითონვე ჩემის თვალით მენახა ის რუსულს სცენაზე. ამ დღეებში მისი ბენეფისი იყო და თითონ თამაშობდა რიშელიეს როლს. უნდა გამოვტყდე, რომ ბევრი კარგი პირველი ხარისხის მოთამაშე მინახავს ამ როლში და არც ერთზე ნაკლებ შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზე ამ უკანასკნელს. სხვა-და-სხვა გამოჩენილი არტისტები სხვა-და-სხვა ნაირად გვიხატვენ ხოლმე ამ შესანიშნავს ისტორიულს პირს, რიშელიეს... ზოგი იეზუიტად, ზოგი მედიდურად და ამაყად, ზოგი ბოროტად და გულქვავად, ზოგი რათა და ზოგი რათა!.. ამ გვარად რიშელიეს გამოხატვა და სცენაზე წარმოდგენა, თუმცა გარეგანის ეფექტით დიდს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე, მაგრამ ისტორიისა და დრამატურგის, ე. ი. ავტორის აზრს-კი სრულიად ეწინააღმდეგება. ყიფიანი-კი სწორეთ სინამდვილით გვიხატავს რიშელიეს: ის არის ისეთივე მომაკვდავი, როგორც ყოველი სული; გენიოსია, მაგრამ წვრილმანი ნაკლულევანებაცა აქვს, უყვარს თავისი სამშობლო საფრანგეთი და მის ამაღლებაზედა ჰფიქრობს, ასე რომ თითქმის ფანატიკოსად გადაქცეულა... თუ ეჭვი აილო ვისიმე, რომ ქვეყნის ორგულია და მავნებელი, არა ჰზოგავს, იმიტომ-კი არა, რომ უგულო და ბოროტია, ისე, როგორც მკურნალი, რომელიც წარბ-შეუხრელად ჰკვეთავს სნეულს რომელსამე ასოს, რომ მით სიკვდილს გადაარჩი-

---

ბილის კანცელარიაში, სადაც გამომძიებელი მოსულიყო საქმის ვითარების გასაგებადა. ციხეში პყრობილნი ფანჯრებს მიეკვრნენ, ერთმანეთს ზურგზედ ასხდებოდნენ, რომ დაენახათ ის საკვირველი დედაკაცი, რომელმაც ყაზარ სტეფანიჩი ამ წუთის სოფელს გამოასალმა.

ნენემ მოიკრიბა სულის ძალა; ჩამოიხსნა გაკრული პირი და წყნარად და დალაგებით უამბო გამომძიებელს თავისი ვინაობა და ყაზარას მოკვლის ამბავი და მიზეზი.

— მე გახლავართ ნენე, დემეტრე ასკილაძის ჯალაბი; ორი შვილი მყავს.. ოოჰ, დედა-მოგიკვდით, შვილებო, დედა!.. მე სულ ვიქნები, ჩემის ანგარიშით, ოცდა-ოთხმეტის, თუ ოცდა-თხუთმეტის წლისა; სწორედ თხუთმეტის წლისა მივთხოვედი დემეტრესა... შავდა უკულმა ის დღე, ჩემთვის კარგი არა მოიტანა-რა...

— შენ ისა სთქვი, რაც საქმეს შეეხება, ნუ გადაუხვევ, უთხრა გამომძიებელმა.

— დედა-შვილობასა... თუ დედად არ მიწამებ, და-ძმობასა, — შესთხოვა ნენემ, — მათქმევინე ყველაფერი, ენას ნუ შემიკრავ. ყველაფერი დავკარგე ამ ქვეყანაზედა; ჩემთვის მზე აღარ მზეობს და მთვარე აღარ მთვარეობს; სიცოცხლე გაარმებული მაქვს; უკანასკნელად-ღა ელაპარაკობ... ვინ იცის, ხვალვე დამღუპონ... ყველა ჩემი სიმართლე ხელის გულსავით უნდა გადაგიშალო და შიგ ჩაგახედო.

— ჰო, კარგი, აგრე იყოს, სთქვი, რაც გინდა.

— იმას მოგახსენებდით, რომ მე დემეტრეს ჯალაბი გახლავართ.. დაიღუპა, დაიყუპა მთელი დემეტრეს სახლობაი.. როცა აქ ჩამოვედით, ყაზარასაგან ვალი აილო, ამბობდა, ცოტა რასმეს შევუმატებ დუქანსა და იოლად წავიღებ ჩემს საქმესაო.. მაგრამ უბედური ადამიანის საქმე სულ უკულმა ტრიალობს; რასაც მოჰკიდა ხელი, ყველგან წაუხდა საქმე. ყაზარას სარგებელს ვერ ასდიოდა, რაც შემოსდიოდა. დარდმა და ვარამმა თან გადიტანა. ყაზარამ თავი არ დაანება ვალსა. შემიტყუა სახლში, ტკბილის, ცბიერის სიტყვით მამთინთლა, ჩემი გული მოინადირა. მივყევ მეც ხეტიითა. მეგონა, ეს არის ღმერთმა ახლა-კი წაღმა დაატრიალა ჩემი საქმე მეთქი. თურმე იმ ბოროტ ადამიანს, იმ იუდის კერძს...

— ქალო, მაგრე ნუ ლაპარაკობ მიცვალებულზე...

— ბატონო, გული მეწვის; ძუძუები დამაჭრა იმ წყეულმა, ნამუსი დამიმხო, სული შემიგინა, ბატონო... ოჰ, ღმერთო! შენ მიეც მაგიერი... თურმე იმას გულში სხვა ედო; თურმე იმისი სული ამყრალებული ყოფილიყო... შემომიჩნდა. დამინებია ათასი მანქანებითა, ჩაციებითა, ქრთამებითა. შევცოდე ღმერთსა, ბატონო! ჩამქოლეთ, ჩამქოლეთ!.. ნამუსი ამხადა, სინიდისი წამიწყმინდა; სამუდამოდ დამაკარგვინა ჩემი უბედური დემეტრე; დამაშორა იმის სულს... რაღა თვალით შევყურო იმ გძელს სოფელსა...

— თუ შენი ნებაც იყო, მაშ რაღად მოჰკალი?

— მაიცა, შენი მუხლების ჭირიმე, მათქმევინე ბოლომდისა... ჩემის მარჯვენით გამომიყვანია და გამომიზდია შვილები; ბევრჯელ დაწყლულებულის ხელებით მირეცხნია სარეცხი; ბევრჯელ სიცხიანი ჩავკიდებულვარ თონეში და ისე კვნესა-ოხვრით გამომიცხვია პური. ასე ტანჯვით მიჭმევია შვილებისათვის ლუკმა პური. იქნამდის გამიჭირდა, რომ შვილები დათხოულობდნენ. კინაღამ დამივაზაკდნენ. ვიფიქრე, ჩემს თავს შევწირავ, მტლედ დავუდებ შვილებსა და დავიხსნი შიმშილისაგანა მეთქი. ასეც ჩავიდინე. დავდექ ყაზარასთან იმის ვალის გადასაწყვეტათ; მომხიბლა. აკი მოგახსენეთ.. ნამუსი შემირცხვინა... ვარჩიე უნამუსოდ სიცოცხლეს ნამუსიანი სიღარიბე, მაგრამ თავი ვერ დავიჭირე. მაცდური იმის მაცდურია, რომ ჩემისთანა უბედური კლდეზედ გადასჩეხოს... ესეც მოვითმინე შვილებისთვის... სანთელი არ მინდა გამექრო ჩემი უბედურის ქმრისათვის... მაგრამ ყაზარამ არ იკმარა... ნუ მათქმევინებ, ნუ მათქმევინებ, ბატონო, თქვენს ლხენასა...

— არა უშავს-რა, დაწყნარდი; თქვი, იქნება შეღავათი მიეცეს რამე მაგ თქმით შენს საქმესა.

— ყაზარა შეეხო ჩემი ნორჩი თინას ნამუსსაცა... აქ ნენემ თავი ვეღარ შეიმაგრა, აცახცახდა, ხელები დამუჭა, ხორცს იგლეჯდა და მწარედ ილიმებოდა. — ჩიტი რა არის, ჩიტი! ქვეყანას შეჰყრის, ქვეყანას შესტირებს, თუ იმის შვილებს შეეხება ვინმე. ძაღლი თავის ძუძუთა — ლეკვს ზედ დააკვდება, და არავის-კი დაანებებს. პირუტყვი ამას შვრება და მე რაღა უნდა მექმნა, რა? მიბძანეთ ერთი?

— ჰო, აბა, თქვი, თქვი!

— უი, დედასა, შვილო! როდესაც გავიგონე თინას ხმაურობა... კუხნის ოთახში მიწვა დედა-მკვდარი... გავვარდი ნადირივითა და ვეფხვივით დავაცხრი ყაზარასა. მისს ურცხვს სანახაობას ვერ ავიწერ.. დავტრიალდი სახლში, შემხვდა ცული, დავავლე ხელი და გავაშორე უნამუსო სული ყაზარასა. შვილი გადავარჩინე და აი მე რაც გინდა მიყავით...

ს. მგალობლიშვილი

ნოს. არც მედიდურია და არც იეზუიტი, თუმცა გარემოება ხშირად ჩააყენებს ხოლმე იმათ მდგომარეობაში და, მაშასადამე, ბუნებითად რომ ის ან იეზუიტი ეგონოს ვისმე და ან მედიდური, დიდი შეცდომა იქნება.

ყიფიანმა სწორედ ნამდვილი ისტორიული რიშელიე წარმოგვიდგინა თვალ-წინ და, ჩვენის აზრით, უკეთესი რიშელიე საზოგადოდ. ამის დაწვრილებით დამტკიცებას ჩვენ შევუდგებით მაშინ, როდესაც ქართულ - სცენაზე წარმოადგენენ იმავე დრამას და მანამდი-კი მხოლოდ ამითი მოვჭრით სიტყვას, რომ რასაც-კი ყიფიანზე ამბობდნენ, სულ ხმის აყოლით ყოფილა ნათქვამი უმეტესად. ის როგორც არტისტი დასაწუნებელი არ არის, თუ სხვა რამეს არ მივიღებთ მხედველობაში.

აკაკი

## ახალ - წლის დღესასწაული ჯავახეთში.

ახალ-წლის წინა დღესვე ჯავახები დიდს ფაცი-ფუცში და მზადებაში არიან. ამ დღეს თითოეული ოჯახის უფროსი თავისს თავს ვალად რაცხს და სცდილობს, რომ წინა დღეებში მეზობელში გაცემული საციქველი, როგორც მაგალითებრ: ჯარა, ქილები, ჯამები, ქვაბები, ვარცლები და სხვანი ერთ-ერთ სახლის წევრთაგანს ისევ თავისს ოჯახში შემოატანინოს. ჯავახების აზრითა და რწმენით, ეს იმას ჰნიშნავს, რომ სახლის დოვლათი ერთ-ერთ ავეჯეულობაზედ არის დამოკიდებულიო და, თუ ასეთი ავეჯი სხვაგან დარჩათ, ან დაავიწყდათ ახალწელ ღამეს, დოვლათიც იქ დარჩება...

ამავე დღეს ოჯახი, მდიდარი, თუ ღარიბი, აცხობს პურებს, რომელსაც სხვა-და-სხვა მნიშვნელობა აქვს, მაგალითად: „წმინდა ბასილას“, „ხარის ქედებს“, „ბანის პურებს“, „ბედის ქადას“, „ქათამ-წიწილს“ და სხ. ყველა ეს პურები მზად რომ იქნება, სახლის უფროსის ცოლი აწყობს „საახალწლო ტაბლაზედ“, თავ-თავისს ადგილას: სულ პირველად დასდებს ტაბლაზე „ბედის პურს“, ამას ზემოდ ორს „ხარის ქედს“, ამას შუა ასვენებენ „წმინდა ბასილას“. ეს პური კაცს ჰგავს; თვალების ნაცვლად ნაზვირები აქვს ჩასხმული და ხელები გულზედ გადაჯვარედინებული უწყვია. „ბასილას“ ფეხთით უდებენ ერთს «ბანის პურს» და თავით—მეორეს, „ქათამ-წიწილა“-ს (ვაშლის ოდენა მრგვალი პურებია, რომელსაც ნისკარტები აქვს ცომისაგანვე გაკეთებული); ერთს ხელსახოცში ახვევენ და „ბასილას“ გულზედ, „ბანის პურების“ შუა ათავსებენ და სულ ბოლოს ტაბლაზედ, ერთ-ერთ კუთხეში სდგამენ თაფლით, ან «ბაქმაზით»*) სავსე ჯამს.

ეხლა ამ ჩვეულების ამბავს თავი უნდა დავანებოთ და ის უნდა მოვიხსენიოთ, თუ ახალ წლის წინა დღეს ხშირ ბინდისას რას სჩადის ჯავახი. მზე ჩასულია. ხალხი ყველა თბილს ბოსლებსა და „ოდებშია“ შესული. ამ დროს სახლის უფროსი, მამაკაცი იქნება, თუ დედაკაცი, დადის სახლის ყველა კუთხეებში და ამას ჰბუტბუტებს: „სახლო და სახლის ანგელოზო, შენ გევედრები და გეხვეწები, თუ იყვე სადმე ამ კუთხეებში, ეშმაკის გზაკვალს აგვაცილე ამ მომავალ ახალწელს.....“ ეს სიტყვები სამჯერ უნდა გაიმეოროს და სამჯერვე უნდა შემოუაროს ყველა სახლების კუთხეებს შიგნიდგან. შემდეგ სახლის უფროსი იღებს ხელში დიდს ასტამს, ან სხვა გრძელ რკინეულს და გადის კარში. მარჯვენივ ტრიალდება და ადგამს ორს ნაბიჯს, ზედაც ამ სიტყვებს აყოლებს: «ღმერთო, შენ დაგვიხსენ-დაგვიფარე ეშმაკისაგან ამ ახალ-წელს». ამ სიტყვებისავე ბუტბუტით უვლის გარეშემო თავისს კუთვნილ სახლ-კარს, საბძელ-კალოს და ხელში ნაჭერი რკინეულითაც წრე-ხაზს ავლებს. წრე-ხაზის შემოვლება, ჯავახების აზრით, იმას ჰნიშნავს, რომ ეშმაკი ეღარ შესდგამს ფეხს იმათს სახლ-კარში და საბძელ-კარ-მიდამოში მთელის წლის განმავლობაში. წრის შემოვლებას ათავებს თუ არა, სახლის უფროსი მიდის იმ სახლის, ან დარბაზის ბანზედ, რომელშიაც ოჯახობა სცხოვრობს. სახლის უფროსი ბანიდგან ჰკიდებს ფულის ქისას (ცარიელს), გრძელ ბაწარზედ მობმულს. ოჯახობას წინადვე ამისთვის ფული აქვს მომზადებული და ბანიდგან ჩაკიდებულს ქისაში სდებს რამდენსამე მანეთს. სახლის უფროსი ფულიან ქისას იწევს ზევით და შემოდის კიდეც კარებიდამ, მარცხენა მხრიდამ. ამ ფულის ბანიდგან ატანა და კარებიდამ შემოტანა იმასა ჰნიშნავს, რომ მთელს წელიწადს სახლში ფული ულეველი იყოს და იმის გვარად შემოდიოდეს კარებიდგან (გარედგან) ყოველივე ბარაქა და სარჩო-საცხოვრებელიო...

სახლებში სიჩუმეა. სახლის უფროსი მისჯდომია წივით გახურებულს ბუხარს და შეჰყურებს სუსტად ღუდღუდა ცეცხლს და ალს, რომელიც თითქოსახალ-წლის ამბებსმოუთხრობს. იმ ღამეს სახლის უფროსი არ იძინებს.

მიუბრუნდეთ ახლა „საახალწლო ტაბლას“. ქათამი ორჯელ შეჰყივლებს თუ არა, სახლის უფროსი იღებს დამზადებულ ტაბლას მარჯვენა ხელში; ტაბლასვე აკრავს სამს სანთელს (ანთებულს) და გადის კარში, იმ დარბაზის ან სახლ-ოდის ბანისკენ, რომელშიაც სცხოვრობს მისი ცოლშვილი. ბანის მოვიწროებულ გვირგვინთან მივა თუ არა, იტყვის: «ერდოსა შენსა შემოვადგი ფეხი (თან გარშემო უვლის ბანს, სანთლებით განათებულის ტაბლით ხელში). გწყალობდესთ, ჩემო ცოლ-შვილნო, ღმერთი, ჩემი ფეხი იყვეს კვალი მთავარ-მიქელ-გაბრიელ ანგელოზებისა, წმინდის სამას სამოც-და-ხუთის გიორგისა; მრავალს ასეთს ახალ-წელს შეგვასწროს, ხელი ერთ პირათ, „ყოუმახრაბა-ყარდაშითა“ და „დეინგეირებითა“ (მეგობარ-ნათესავ-ძმებით და მოყვრებითაო). შემდეგ ბანიდგან ჰყრის შიგ სახლში ტაბლაზედ დალაგებულს პურებს, თვინიერ «ბედის პურისა და წმინდა ბასილისა»: სულ პირველად აგდებს ორს „ბანის პურს“, ამას თან აყოლებს ზედვე ორს „ხარის-ქედს“ და სულ ბოლოს „ხელსახოცში გამოკრულს „ქათამ-წიწილას“. ამ დროს ბრუნდება სახლის უფროსი შინისკენ და თენდება კიდეც. ვიდრე დერეფნებს შეივლიდეს, იმავე სიტყვებს იმეორებს. სახლში შესვლისათანავე აღვიძებს ყველას და «ტაბლის თაფლის ჯამიდამ» უკვლევს და ყველას ამას ეუბნება, როგორც ყველგან იციან, „ასრე ტკბილად დამიბერდი“-ო! ასევე უკვლევს ბოსელში საქონელს, საქათმეში—ქათმებს, საცხვარეში—ცხვარს, მხოლოდ თავ-თავიანთ შესაფერი საჭმლითა კვლევას გაათავებს თუ არა, სინჯავს ბანიდგან ჩაყრილ პურებს, რომელი რა ადგილას, ან როგორ დაცემულა. თუ „ბანის პურები“ გულ-აღმა დაცემულა, მაშინ ამბობენ, რომ მოსავალი არ მოგვივაო (განსაკუთრებით იმ სახლობას, რომლის პურებიც ამ ნაირად იქნებიან დაცემულნი); თუ ორივე „ბანის პურები“ ბუხრისაკენ გაგორდება, ამბობენ—კარგი მოსავალი მოგვივაო; თუ ერთი კარებისკენ გაგორდება და მეორეც ბუხრისკენ, მაშინ ამბობენ—„არც კარგი და არც ცუდი მოსავალი გვექნება წელსაო“.

„ქედის პურების“ გაგორებაზედაც ამასვე ამბობენ: თუ კარებისაკენ დაეცემა—საქონელი დაგვეხოცებაო, და თუ ბუხრისკენ—შემოგვემატებაო და სხ... ხელსახოცში გამოკრული „ქათამ-წიწილა“ თუ ბანიდგან ჩაგდების დროს დამტვრეულა საკმაოდ ბლომად, მაშინ ამბობენ, წელს კრუხები ბევრს კვერცხს გაალაყებენო და წიწილებსაც არ გამოუშვებენო; თუ არა ვნებია-რა, არ დამსხვრეულა,—ამბობენ, რომ ბლომად წიწილები გამოგვეჩეკებაო. „ბედის პური“ და „წმინდა ბასილა“ ინახება იმავე ტაბლაზე, ვიდრე წყალ-კურთხევამდე. ამ დღეს სუფრაზედ დასჭრიან და ყველა სახლის წევრს თითო ნაჭერს მიჰკერძავენ და ვის კერძშიაც „ბედის პურში“ ჩადებული ფული აღმოჩნდება, ის იქნება იღბლიანი და ბედიანი და ბევრს ფულსაც მოიგებს იმ წელს...

«წმინდა ბასილს» ესრევე ინაწილებენ და ისე შეექცევიან, როგორც ნაკურთხს პურს, ვითომ-და სეფისკვერს.

ახალ-წლის დილა-ადრიან „უნძრახი წყალი“ მოაქვსთ სახლთ-უმფროსებს და ვინც შეხვდებიან გზაზედ, ხმას არას სცემენ. იმათის აზრით, ყველაზედ კარგი ის არის, ვინც სულ პირველად მივა წყალზედ და «უნძრახს» მოიტანსო. სხვათა შორის ჯავახები ამასაც ამბობენ, რომ ვინც ახალ-წელ საღამოდგან მოკიდებული ვიდრე დილამდე წყლის პირას გაათენებსო, წყალი შეჩერდებაო, აუძრახდება კაცს და ყველა იმ წლის ავს, თუ კარგს მდგომარეობას უამბობსო!!.

მეკვლეების მისვლამდე ერთმანეთის სახლებში არ შევლენ. მეკვლევე ყველას თავ-თავიანთი ჰყავს; ამათ დასაძახებლად ჰგზავნიან სახლის პატარა ბავშვს, რომელიც ბანზედ წიხლების დაკვრით ანიშნებს მეკვლეს, რომ მოდიო. მეკვლევე შესაფერის ტაბლით მივა და მიულოცავს ახალ წელს ისე, როგორც ყველგან იციან. ამ დღეს სახლ-კარს არ დაჰგვიან: უფრო ბევრი ბარაქა გვექნებაო. და თუ დაგავეს—ბარაქა და დოვლათი სახლიდამ გავაო. ახალ-წელს სახლის წევრი შინ რომ მოდიოდეს გარედგან, უთუოდ რამე, ან ნაფოტი, ან წივა, ან სხვა რაიმე უნდა შემოიტანოს, რომ ამ წელს სარჩოს შემოტანა დაგვებედოსო...

გ. კოპტონაშვილი.

*) „ბაქმაზი“ კეთდება თუთისწვენისაგან. ამ უკანასკნელს დიდ ხანს ადუღებენ. წვენი სქელდება დუღილს შემდეგ, ტკბილდება და იწვება თაფლივით.

## რა მეზობლობა აქვს საფრანგეთსა და გერმანიას?

ასეთის სათაურით არის დაბეჭდილი გაზეთებში წერილი ქორჟ რენარისა გერმანიისა და საფრანგეთის მეზობლობასა და ურთიერთობაზე. ეს წერილი საკმაოდ საინტერესოა და ამიტომ მოკლედ უამბობთ მკითხველებს მის შინაარსს.

უფრო სამჯერ ჰქონია ზემოხსენებულს ორს ქვეყანას ურთიერთობა, მეზობლობა. ერთხელ შუა საუკუნოებში, მერე მე-XVI საუკუნეში და ბოლოს მე-XVIII საუკუნის დამლევს. სამჯერვე გერმანიას დიდი გავლენა ჰქონია საფრანგეთზე, ხოლო ბოლონდელი გავლენა უფრო ძლიერი ყოფილა. ამ ბოლონდელს გავლენას და ზედ-მოქმედებას თითქმის მთელს მეცხრამეტე საუკუნეშიაც ვამჩნევთ, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში ამ გავლენამ ფერი და ხასიათი-კი დიდად იცვალა და სრულიად ისეთი არ არის, როგორც მეთვრამეტე საუკუნის დამლევს იყო.

ყველამ იცის, რომ ევროპა, თუმცა სხვა-და-სხვა ერითა და ტომით არის დასახლებული, მაინც ამ სხვა-და-სხვაობას ერთი და იგივე ფერიც დასცემს. არ შეიძლება, რომ ერთგან გაჩენილი აზრი, გრძნობა, მოძრაობა სხვაგანაც არ გაჩნდეს, სხვასაც არ მიეფინოს, სხვაც არ ააღელვოს. ამ დროს ყველგან ერთ გვარობას და ერთ-ფეროვნობას ჰხედავთ, თუმცა იმასაც-კი ამჩნევთ, რომ ახლად დაბადებულის აზრისა და გრძნობის მოთავე ერთ-ერთი ერი უფროა, ახალის მოძრაობის დამწყები და სულის-ჩამდგმელი ერთ-ერთი ქვეყანა უფროა, ვიდრე სხვა. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ორი ქვეყანა და ერია თავგამოდებული ევროპისთვის ნათლის მოსაფენად. ერთია საფრანგეთი და მეორე გერმანია. საფრანგეთი პოლიტიკაში იჩენს ძალას, გერმანია—ფილოსოფიაში. ერთი არღვევს ძველ წეს-წყობილებას და ჰღაღადებს, რომ ერმა უნდა იუფლოს ქვეყანაში და კაცთა საზოგადოება უნდა განახლდესო; მეორე არღვევს ძველს ფორმებს კლასიციზმისას, ავრცელებს ფილოსოფიას, ისტორიას, კრიტიკას, მეცნიერებას და ძირიანად სცვლის სამყაროს შესახებს ცოდნას. ამავე დროს ინგლისი და ამერიკა ცდილობს გაავრცელოს ევროპაში კეთილი ცხოვრება, ცხოვრებაში გამოსაყენებელი აზრები და ათასი ახალი სავაჭრო და სამრეწველო წესები. აი ამ სამ-გვარმა ცხოვრების მდინარეობამ იმუშავა და მიანიჭა ევროპას ის, რაც დღეს ხელში უჭირავს. გერმანიის აზრის გაღვიძება რეინს იქით მაშინ შეიტყეს, როცა იქ უკვე დიდი რევოლიუცია დაიწყეს. საფრანგეთმა იგრძნო მაშინვე, რომ იქ, რეინის გაღმა მხარში დიდი ამბავი ხდებაო. იგრძნო, რომ დიდნი ქმნილებანი დაებადა იმ ერს, რომელიც ისე სძაგდა ვოლტერს. m—m სტალმა თავის წიგნით დაანახვა ფრანგებს ახალი ქვეყანა მათ მეზობლად მყოფი. თვით ნაპოლეონი აღარ არჩევს ერთმანერთში სხვა-და-სხვა ერს და ამითი უფრო ხელს უწყობს, რომ გერმანიის აზრები გავრცელდეს. მაშინდელი ჩვენი პოეტები, მხატვრები, ფილოსოფოსები სულ გერმანიას შესცქერიან. ბევრნი მიდიან იქ, სადაც ჰეგელი და კანტი იყო. თითონ გერმანიაც მოდის საფრანგეთში. ჰეინე დასეირნობს თეოფილ გოტიესთან ერთად პარიჟის ბულვარზე. მეიერბერი ბატონობს ოპერაში. ერთის სიტყვით, საფრანგეთი და გერმანია დიდის ამბით მეზობლობენ ერთმანერთს.

თუმცა ეს ასე იყო, საფრანგეთმა-მაინც 1870 წლამდე ვერ გაიცნო კარგა გერმანია. უმრავლესობამ კარგად არ იცოდა გერმანელების ყოფა-ცხოვრება და ხასიათები. ზოგი-სიამპარტავნით და ზოგიც დაუდევრობით ფრანგებს არ უყვართ მეზობლის ერის შესწავლა და დაკვირვება. გერმანელებს ისე უცქერიან, როგორც ოლიხეშაე, სახაცილო ხალხს, თუმცა-კი საკმაოდ გულ-კეთილს და მშრომელსა. ფრანგი დასცინის გერმანელის გრძელს ჩიბუხს, ლაპარაკის კილოს, მაგრამ ძულებით-კი არა სძულს. ზოგიერთს ნასწავლს ხალხს ბევრი რამ გაუგონია გერმანიაზე, მაგრამ ცხადად-კი ვერ შეუძლიან წარმოიდგინოს ეს ქვეყანა. ამ ხალხს ჰგონია, რომ იქ სულ სწავლულები არიან, პოეტები, მემუსიკენი, ოცნების მოყვარენი, მშვიდობიანი და გულ-კეთილნი მოქალაქენიო. სადოველსთან ზარბაზნების გრიალმა გონს ვერ მოიყვანა მაინც ფრანგების უმრავლესობა და ვერ დაანახვა, რომ გერმანიაში ბევრი რამ სხვაც იყო ოცნების მოყვარეთა და მშვიდობიან მელოდეების გარდა.

საფრანგეთის რჩეულს კაცებს, აზრისა და მსჯელობის დევებს, რასაკვირველია, უფრო მეტი ესმოდათ გერმანიისა და კარგადაც იცოდნენ, რა სიკეთე შესძლენა კაცობრიობას გერმანიის ჭკუა-გონებამ. ასეთები პატივსა სცემდნენ გერმანიას, მადლობით იხსენიებდნენ იმათ ღვაწლსა. დიდი კაცი იმისი დიდი კაცია, რომ შურსა და მტრობას ახლო არ მიიკარებს, საერო მეტოქეობას არ გამოუდგება. საფრანგეთის დიდს კაცებს მართლა ძრიელ უყვარდათ და მოსწონდათ თავისი მასწავლებელნი და ის ერი, რომელმაც იგინი დაჰბადა. მიშლეს გულით, უყვარდა გერმანია. კინეს აგრეთვე. რენანი ტაძარს ეძახდა გერმანიას. ტენი—დიდს ლაბორატორიას.

საფრანგეთის დიდ-კაცებს ერთი რამ დაავიწყდათ, სახელდობრ ის, რომ გერმანია მალე იცვალა და იმ დროს ისეთი აღარ იყო, როგორც იმათა ჰქონდათ წარმოდგენილი. გერმანელებმა მალე დაანებეს თავი ფილოსოფიას, საზოგადო მსჯელობას, იდეალებს. ყველა ამის ადგილი დაიჭირა ნამდვილმა ცხოვრებამ, სასარგებლო და სახეირო საქმემ. ახლა-კი ქვეყნისათვის მუშაობა მოსწყინდა გერმანიას და კერძოდ თავისთვის დაიწყო ცხოვრება. გერმანია აღარა ჰზადავს ფილოსოფოსებს და სისტემებს, აჩენს მხოლოდ ჯარის-კაცებს და აკეთებს ზარბაზნებს. წინანდელს აზრს მოჰყვა საქმე, პოეზიას—პოლიტიკა; ხელოვნება ხელოვნებისათვის უარყოფილ იქმნა, ვრცელი საკაცთ-მოყვარეო სინტეზი გაჰქრა და დაიბადა სამხედრო მწერლობა, გამუდმებელი, მორჩილებაზე დამყარებული მარში იმ წვრილს ბილიკზე, რომელსაც გაერთიანებისაკენ მიჰყავს ერი.

აი ასეთი იყო ის გერმანია, რომელიც ნელ-ნელაა მრისხანედ იბადებოდა საცოდავის საფრანგეთის მეზობლად. საფრანგეთი-კი მოსტყუვდა და ეგონა ამ დროს, რომ გერმანია ისევ ის კეთილი და მშვიდობიანის სწავლულებით დასახლებული ქვეყა-

ნაა, როგორც მაშინ იყო, როცა პირველად გაეიცანით. საფრანგეთს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ის ქვეყანა სრულიად გამოიცვალა.

ელდასავით ეცა საფრანგეთს 1870 წლის ომის ამბავი. ეს ომი დიდის ხნით სასურველი იყო გერმანიის მხრივ, ხოლო საფრანგეთისთვის-კი მოულოდნელი აღმოჩნდა. ეჭვი არ იყო, რომ ომი საუბედუროდ უნდა გათავებულიყო საფრანგეთისათვის. გათავდა კიდეც და აი საფრანგეთი შეიქმნა დამცირებული, გასრესილი გერმანიის წინაშე.

(შემდეგი იქნება)

## წვრილი ამბები

შტუტგარდში დაუბეჭდიათ კრებული გერმანელ ქალთა ლექსებისა. კრებულს აქვს სათაურად «Unsere Frauen». წიგნში ჩართულია 12 სურათი უფრო სახელოვან პოეტ-ქალებისა

— ლონდონში სასამართლომ გაარჩია შემდეგი უცნაური საჩივარი. ქუჩაზე მიმავალს კაცს დაეცა თურმე თავში თოვლი, რომელსაც ბანიდამ ჰყრიდნენ და გაუტეხა თავი. თავ გატეხილმა მიჰმართა მკურნალს ედინბურგში, მომარჩინეო. ამ მკურნალმა ურჩია თავ გატეხილს, შვეიცარიაში იწამლეო. თითქმის ერთი თვე მეტი მოუნდა საწყალი აქიმობას. როცა დაბრუნდა შვეიცარიიდამ თავ-გამთელებული, უჩივლა იმ სახლის პატრონს და სასამართლომაც 5,000 მან. გადაახდევინა თავ გატეხილის სასარგებლოდ სახლის პატრონსა.

— ავსტრიაში ვიღაც გრაფ კინსკის სწორედ სასაცილო საქმე დაჰმართნია. შეურთავს ცოლი, მაგრამ იმის საუბედუროდ, ეს ცოლი მხოლოდ თანამეგვარე ყოფილა იმ ქალისა, რომლის შერთვაც ფიქრადა ჰქონია. რაკი ასეთი საქმე დაჰმართვია, უჩივლია სასამართლოში, ჩემს დღევანდელ ცოლთან ქორწინება გააუქმეთ, რადგანაც შეცდომით მოხდა ჩვენი ჯვარის-წერაო.

— იაპონიაშიაც შემოსულა ახლა მოდად დუელები ჟურნალისტებ-შორის. აქამდე იაპონელებში დუელების ხსენებაც არ იყო.

— ვენაში 1,500 ასოთ-ამწყობს პირი შეუკრავთ, მუშაობაზე ხელი აუღიათ და ამ სახით ოცამდე სტამბა იძულებული ყოფილა მიემატებინა მათთვის დღიური სამუშაო ფასი.

— ერთს ამერიკელს ქურდს შემდეგი ავაზაკობა ჩაუდენია რკინის-გზაზე: ვაგონიდამ მოუპარავს ფულით სავსე ყუთი, ამოუღია რევოლვერი და მუქარით უთხოვნია ვაგონის დარაჯისათვის, ჩქარა გააღე ყუთიო. ყუთი რომ გაუღიათ, ქურდს უტაცნია ხელი ფულისათვის, მერე დაუსტვენია, გაუჩერებინებია მატარებელი, გადამხტარა და ისე საჩქაროდ გაქცეულა, რომ ვერც მატარებელში მყოფს ხალხს, ვერც მატარებლის მოხელეობას თვალი ვეღარ მოუკრავთ ვამბედავის ავაზაკისათვის.

## დეპეშა

2 დეკემბერი

პეტერბურგი. გაკოტრებულის მოვაჭრის ოვსიანიკოვის საქმის გამო დანიშნულია კონკურსის სამართველო ნაფიცის ვექილის დორნის თავმჯდომარეობით.

ლონდონი. ოსმან-დიგმამ აცნობა ინგლისელს გენერალს გრენფელს, რომელიც სუაკიმის მახლობლად დგას, რომ ზოგი ადგილი დაემორჩილა მაჰდის მომხრეებს და რომ ემინ-ფაშა და სტენლი ამათ ტყვედ დაუჭერიათ.

### პეტერბურგის ბირჟა, 2 დეკემბ.

| | მყიდველ-ნი. | გამყიდვე-ლნი. | გაყიდუ-ლნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 82 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 155³/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 272³/₄ |
| —მეორისა . . . . . | 242¹/₂ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 81 | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

დეკემბერი 31 დღით არის.

4 დღე კვირა. წმ. დიდ-მოწ. ბარბარესი. კათოლ. წმ. ბარბარესივე. მაჰმად. მე-13 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—55. ტფილისში მზე ამოდის 7—21, ჩადის 4—32. მთვარე 14 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3¹/₂ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ 3¹/₂ „
ჯვარის მამის პურის ლავაში „
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . 8 „
„ 2 „ 7 „

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ი | ლ | ი თ | | დ | ი | ლ | ი თ |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა | ღ ა | მ ო | თ ი |
| | ს ა | ღ ა | მ ო | თ ი | სურამი . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი. . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ღ ი | ს ი | თ | | ღ | ა მ | ი | თ |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი. . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი. . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა | ღ ა | მ ო | თ ი | | დ ი | ლ | ი | თ |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | — | — | 50 | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


## განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

### წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . მან. —, კაპ. 40
გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . . „ 25
საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . 1 „
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. „ 40
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . „ 15
გულივერის მოგზაურობა . „ 50
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . „ 2

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 » . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 » . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 » . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 » . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 » . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: **Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

წელიწადი II. წელიწადი II.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო გ ა ზ ე თ ი

„მეურნე“

გამოდის კვირაში ერთხელ

გაზეთი „მეურნე“ მომავალ 1889 წ. გამოიცემა იმავე პროგრამით და სივრცით, როგორც ამ 1888 წ.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი

| თბილისში | | თბილისს გარეშე |
|---|---|---|
| 1 წლისა — — 4 მან. | | 1 წლისა — — 5 მან. |
| ¹/₂ — — — 2 მან. 50 კ. | | ¹/₂ — — — 3 მან. |

ცალკე №—15 კაპ.

განცხადებანი მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ, და 20 კაპ. პირველ გვერდზედ. გ ა ზ ე თ ი ს დ ა კ ვ ე თ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა: კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში, ჩარკვიანის მაღაზიაში და თვით რედაქციაში: რეუტის ქუჩა, სახლი № 10.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიმართონ თვით რედაქციას შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію **„Мэурнэ“**.


Доз. ценз. Тифлисъ, 3-го Декабря 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე